EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მესამე სექცია

საქმე „ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“
(საჩივარი nº 35887/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2012 წლის 27 ნოემბერი
საბოლოო გახდა:
27/02/2013

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მესამე სექცია) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ჯოზეპ კასადევალი, თავმჯდომარე,
ალვინა გულუმიანი,
კორნელიუ ბირსანი,
იან სიკუტა,
ლუის ლოპეზ გუერა,
ნონა წოწორია, მოსამართლეები
და *სანტიაგო ქესადა*, სექციის განმწესრიგებელი,

2012 წლის 6 ნოემბერს გამართული დახურული თათბირის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საქართველოს მოქალაქის, ბ-ნი *გივი ჯანიაშვილის* („მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის საფუძველზე, 2005 წლის 29 ივნისს, სასამართლოში, საქართველოს წინააღმდეგ, შეტანილი საჩივარი (nº 35887/05).

2. მომჩივანს წარმოადგენდნენ ადვოკატები: ქ-ნი *ცირა ჯავახიშვილი*, ქ-ნი *კესარია ცარციძე* და ბ-ნი *ზურაბ როსტიაშვილი*, რომლებიც საადვოკატო საქმიანობას თბილისში ახორციელებენ. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) თანმიმდევრულად წარმოადგენდნენ სახელმწიფო წარმომადგენლები იუსტიციის სამინისტროდან - ბ-ნები *მიხეილ კეკენაძე, დავით თომაძე* და *ლევან მესხორაძე.*

3. 2007 წლის 29 ნოემბერს სასამართლომ მთავრობას აცნობა მომჩივნის მიერ კონვენციის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები. აგრეთვე მიღებულ იქნა საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვის გადაწყვეტილება (მუხლი 29§1).

4. მხარეებმა წარმოადგინეს საჩივრის მისაღებობასა და არსებით მხარესთან დაკავშირებული მიმოხილვები (სასამართლოს რეგლამენტის 54 „ა“ მუხლი).

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივანი დაიბადა 1962 წელს და ცხოვრობს თბილისში.

ა. სისხლის სამართლის პირველი საქმე

6. 2004 წლის 13 მაისს, დაახლოებით 22.00 საათზე, მომჩივანი, რომელიც იძებნებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, აპირებდა საქართველოს ტერიტორიის დატოვებას *ვალეს* სასაზღვრო გამშვები პუნქტის გავლით, როდესაც ის გააჩერეს და პირადად გაჩხრიკეს სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა. გაიჩხრიკა მისი ბარგიც. არალეგალური ნივთები ან ნივთიერებები ნაპოვნი არ ყოფილა. მომჩივანს დოკუმენტები წესრიგში ჰქონდა. მიუხედავად ამისა, ის დააკავეს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს შეატყობინეს.

7. ვიდრე უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები საზღვარზე მივიდოდნენ, მომჩივანი *ახალციხის* (რეგიონის ცენტრი) სასაზღვრო პოლიციის უფროსის სახლში, საზღვრიდან 30 კმ-ის მოშორებით, იმყოფებოდა. იმ ეტაპზე ის არ იყო ოფიციალურად დაკავებული. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები ადგილზე ჩავიდნენ 2004 წლის 14 მაისს, დაახლოებით დილის 05:10 საათზე და მომჩივნის გადაცემის ოფიციალური დოკუმენტი ორივე უწყების წარმომადგენლების მიერ იქნა შედგენილი.

8. 2004 წლის 14 მაისს, დილის 07:20 საათზე, დაუზუსტებელ ადგილზე, უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებმა კვლავ ჩაატარეს მომჩივნის ჩხრეკა. იმ დროისათვის შედგენილი ოქმის მიხედვით, მეორე ჩხრეკა ჩატარდა *ვალეს* სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე და არალეგალური ნივთიერება აღმოჩენილი იქნა მომჩივნის ბარგში; შედგა დაკავების ოქმიც.

9. მოგვიანებით, 2004 წლის 14 მაისს, ადვოკატის თანდასწრებით, მომჩივანს ბრალი წარედგინა 0.06 გრ. ჰეროინის შეძენაში, მოხმარებასა და უკანონოდ გადატანაში. ბრალის წარდგენის დადგენლების თანახმად, მომჩივანმა აღნიშნა, რომ ჩხრეკის დროს არავითარი ნარკოტიკული ნივთიერება არ ყოფილა ნაპოვნი.

10. 2004 წლის 16 მაისს მომჩივნის ადვოკატმა შეაგროვა მესაზღვრეთა და სასაზღვრო პოლიციის სხვა თანამშრომელთა წერილობითი ჩვენებები, რომლებიც ესწრებოდნენ მომჩივნის დაკავებას *ვალეს* სასაზღვრო გამშვებ პუნქტზე. ყველა მათგანმა დაადასტურა, რომ სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში მომჩივნის პირველი ჩხრეკის შედეგად უკანონო საგნები ან ნივთიერებები ნაპოვნი არ ყოფილა (§6).

11. 2004 წლის 16 მაისს, *ადიგენის* 1-ლი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, მომჩივანს 3-თვიანი წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. აღნიშნული გადაწყვეტილება 2004 წლის 2 ივნისს ძალაში დატოვა *თბილისის* საოლქო სასამართლომ. მომჩივნის სააპელაციო სარჩელში მოყვანილი თითოეული არგუმენტის პასუხად, საოლქო სასამართლომ გადაწყვეტილების ძირითად მიზეზად დაასახელა მართლმსაჯულებისაგან მიმალვის რისკი, რომელიც გამომდინარეობდა მომჩივნის მცდელობიდან, უნებართვოდ გადაეკვეთა საზღვარი *თურქეთთან*. შესაბამისად, სასამართლომ მოიყვანა ის ფაქტი, რომ მომჩივანი, სასამართლოს განკარგულებით, 2005 წლის 20 იანვრიდან იმყოფებოდა იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ქვეშ მკვლელობის ფაქტზე აღძრული სხვა სისხლის

სამართლის საქმის ფარგლებში. შესაბამისად, მას არ ჰქონდა უფლება, სამედიცინო დაწესებულების თანხმობის გარეშე დაეტოვებინა ქვეყანა.

12. საქმის მასალებიდან არ ირკვევა, რომელ თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოათავსეს მომჩივანი იმ დროისათვის.

13. 2004 წლის 2 ივნისს მომჩივნის ადვოკატებმა შეიტანეს საჩივარი საქმეზე პასუხისმგებელ გამომძიებელთან, ნ.ნ.-სგან მოპოვებულ სამხილთან დაკავშირებით. ნ.ნ. პოლიციის ანგარიშში მოხსენიებულია, როგორც მოწმე იმ ჩხრეკისა, რომლის დროსაც უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებმა, სავარაუდოდ, ჰეროინი აღმოაჩინეს. ნ.ნ.-სა და მისი მეუღლის განცხადებით, მათ მთელი ის ღამე გაატარეს სახლში და უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული არავითარი ჩხრეკის თვითმხილველნი არ ყოფილან.

14. 2004 წლის 13 აგვისტოს *თბილისი*ს საოლქო სასამართლომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობის ვადა გააგრძელა 2004 წლის 14 სექტემბრამდე. გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში სასამართლომ აღნიშნა, რომ *„ბრალდების განსაკუთრებული სიმძიმიდან გამომდინარე, მომჩივანმა შეიძლება ხელი შეუშალოს სიმართლის დადგენას, დაემალოს მართლმსაჯულებას ან გააგრძელოს დანაშაულებრივი საქმიანობა“.*

15. 2004 წლის 13 სექტემბერს *თბილისის* საოლქო სასამართლომ მომჩივნის წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ორი თვით გააგრძელა. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება ახსნა ორი მიზეზით: ბრალდების განსაკუთრებული სიმძიმე და მომჩივნის ფსიქიკური მდგომარეობის შეფასების მიზნით სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების საჭიროება იმის დასადგენად, შეიძლებოდა თუ არა მას დაკისრებოდა პასუხსიმგებლობა სავარაუდო დანაშაულის ჩადენისათვის.

16. 2004 წლის 13 ნოემბერს *საქართველოს* უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება მომჩივნის წინასწარი პატიმრობის ვადის 2005 წლის 14 იანვრამდე გაგრძელების შესახებ. უზენაესმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მომჩივნისთვის წარდგენილი ბრალის განსაკუთრებული სიმძიმიდან გამომდინარე, გონივრული იყო იმის დაშვება, რომ ის დაემალებოდა მართლმსაჯულებას ან ხელს შეუშლიდა სამართლის დადგენას, - საჭირო იყო დამატებითი დრო გარკვეული საგამოძიებო ღონისძიებების ჩასატარებლად.

17. 2004 წლის 17 ნოემბერს მომჩივანი მოათავსეს *თბილისის* №5 საპყრობილის №99 საკანში.

18. 2004 წლის 20 ნოემბერს მომჩივანი გადაიყვანეს იმავე ციხის სამედიცინო ნაწილის №123 საკანში, სადაც ის იმყოფებოდა სამედიცინო პერსონალის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ, განთავისუფლებამდე - 2005 წლის 3 მაისამდე (§20).

19. 2005 წლის 13 იანვარს *ასპინძის* რაიონულ სასამართლოში გაიმართა პროცესი, რომლის დროსაც სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ *ვალეს* სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში ჩატარებული ჩხრეკის დროს არალეგალური ნივთები ან ნივთიერებები ნაპოვნი არ ყოფილა და რომ მომჩივანს სხვა ჩხრეკა არ ჩატარებია *თბილისიდან* ჩამოსული სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლებისთვის მის გადაცემამდე. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

თანამშრომლები, რომლებმაც ხელი მოაწერეს მეორე ჩხრეკის ოქმს, გამოიძახეს, რათა ამოეცნოთ ნ.ნ., რომელსაც მათ, სავარაუდოდ, სთხოვეს მოწმის სახით დასწრება. ის ვერცერთმა მათგანმა ვერ ამოიცნო.

20. 2005 წლის 3 მაისს *ასპინძის* სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი და გასცა ბრძანება მომჩივნის დაუყოვნებლივ განთავისუფლების შესახებ. პროკურატურამ გაასაჩივრა განაჩენი. *თბილისის* სააპელაციო სასამართლომ სააპელაციო სარჩელი არ დააკმაყოფილა და გამამართლებელი განაჩენი ძალაში დატოვა 2006 წლის 20 სექტემბერს.

ბ. სისხლის სამართლის მეორე საქმე

21. 2005 წლის 9 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელმა მის უფროსს მოახსენა, რომ მან, შემთხვევით, სატელეფონო საუბრების მოსმენისას, რომელიც ხორციელდებოდა სხვა სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, აღმოაჩინა, რომ მომჩივანი, შესაძლოა, იყო ნარკოტიკების მომხმარებელი, რომელიც ჰეროინს სახლში ინახავდა გასაყიდად. იმავე დღეს საქმე აღიძრა ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებით.

22. 2005 წლის 11 მაისს *თბილისის* საქალაქო სასამართლომ, ზემოხსენებული ინფორმაციის გათვალისწინებით, გასცა პოლიციის მიერ მომჩივნისა და მისი საცხოვრებელი ადგილის ჩხრეკის ნებართვა.

23. 2005 წლის 12 მაისს ნარკოტიკების ახლად აღძრულ საქმეზე პასუხისმგებელმა გამომძიებლებმა გასცეს ბრძანება მომჩივნის, როგორც ბრალდებულის, დაკავების თაობაზე.

24. 2005 წლის 12 მაისს დაკავების ოპერაცია განხორციელდა მომჩივნის სახლში. გამომძიებლები, სპეცრაზმის ნიღბიან წევრებთან ერთად, შევიდნენ მომჩივნის სახლში. მათ გაჩხრიკეს სახლი და დააკავეს მომჩივანი დღის 02:20 საათზე. შემდგომში პოლიციამ ჩაატარა მომჩივნის მთლიანი ჩხრეკა 02.30 და 02.40 საათებს შორის. დაკავების ოქმში აღნიშნულია, რომ მომჩივანმა მიიღო შუბლის დაზიანება, ვინაიდან მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს და აუცლებელი გახდა ძალის გამოყენება. მომჩივნის პირადი ჩრეკის დროს მისი პიჟამას ჯიბეში ნაპოვნი იქნა 1.44 გრ ჰეროინი. სახლის ჩხრეკა გაგრძელდა 02.30 და 03.20 საათებს შორის. ამოღებული იქნა ორი უხმარი შპრიცი და გაშავებული კოვზი.

25. მომჩივანმა ოპერაციის ვიდეოჩანაწერი წარმოადგინა. ვიდეოში ჩანს დაახლოებით 10 ან მეტი პოლიციელი, რომლებიც სროლით შედიან მის სახლში; ასევე, მომჩივნის დაკავება და მისთვის ხელბორკილის დადება. ჩანაწერი არ შეიცავს სავარაუდო ცემის კადრებს, თუმცა ჩანს, რომ პირადი ჩხრეკის ჩატარებამდე, მომჩივანს ჰქონდა ჭრილობა შუბლზე. ერთ-ერთმა პოლიციელმა მომჩივანს აცნობა 2005 წლის 11 მაისის სასამართლოს გადაწყვეტილების შესახებ, რომლის თანახმად უნდა ჩატარებულიყო მისი სახლისა და თავად მისი პირადი ჩხრეკა. პოლიციელმა

ჰკითხა მომჩივანს, ჰქონდა თუ არა მას არალეგალური ნივთები. მომჩივანმა თანხმობა განაცხადა მის გაჩხრეკაზე და უპასუხა, რომ *„მას არ ჰქონდა არაფერი არალეგალური, თუ ისინი თავად არ მიიტანდნენ რაიმე ამგვარს“.* სახლი გაიჩხრიკა თავიდან ბოლომდე (კომოდები, ყუთები, ჩანთები, კარადები და ხელჩანთები გახსნეს, ლეიბები გადმოაბრუნეს და ა.შ.). გაშავებული კოვზი აღმოჩენილი იქნა აბაზანაში, ტუალეტის უკან. მხოლოდ მომჩივნის მეუღლე ესწრებოდა ჩხრეკას. ის არ ესწრებოდა მომჩივნის პირად ჩხრეკას, რომელმაც ბოლოს მიაძახა მას: *„მათ ჩამიდეს ნარკოტიკები ჯიბეში“.* მომჩივნის მეუღლემ ყვირილი დაიწყო, რომ პოლიცია მოიქცა არაკეთილსინდისიერად და წავიდა, რათა ადვოკატისთვის დაერეკა.

26. 2005 წლის 12 მაისს მომჩივანმა საჩივარი შეიტანა ამ საქმეზე პასუხისმგებელი გამომძიებლის სახელზე, აცხადებდა რა, რომ მან წინააღმდეგობა გაუწია 15 სახელმწიფო მოხელეს, რომლებიც შეიჭრნენ მის სახლში და ერთ-ერთმა მათგანმა სცადა მისთვის ჯიბეში ჰერიონის ჩადება; შემდეგ ის სცემეს იარაღის ტარით. მომჩივანმა მოითხოვა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარება, აცხადებდა რა, რომ მთელი სხეული სტკიოდა.

27. იმავე დღეს მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა შეისწავლა შს სამინისტროს დაკავების ერთეულის ექიმმა, რომელმაც აღმოაჩინა ჩალურჯებული ადგილები შუბლზე, თვალების ირგვლივ და მარცხენა იღლიის ქვეშ. მან შენიშნა, რომ მომჩივანს სტკიოდა ნეკნები და ტკივილს უჩიოდა მთელ სხეულზე; მომჩივანმა განაცხადა, რომ მას ჰქონდა ჰეპატიტი და იყო ნარკომანი.

28. 2005 წლის 13 მაისს, ორი ადვოკატის თანდასწრებით, მომჩივანს წარედგინა ნარკოტიკების შენახვის ბრალდება.

29. 2005 წლის 14 მაისს *თბილისის* საოლქო სასამართლომ კანონიერად ცნო 2005 წლის 12 მაისს ჩატარებული მომჩივნის სახლისა და პირადი ჩხრეკის ჩანაწერები.

30. 2005 წლის 15 მაისს *თბილისის* საქალაქო სასამართლომ გამოიტანა მომჩივნისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების გადაწყვეტილება, აღნიშნული გადაწყვეტილება არ არის შეტანილი საქმის მასალებში.

31. 2005 წლის 19 მაისს *თბილისის* საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა 2005 წლის 15 მაისის გადაწყვეტილება იმ მოტივით, რომ საქმეში არსებული ყველა დოკუმენტის გათვალისწინებით, გონივრული იყო ეჭვის მიტანა მომჩივნის იმ ქმედებაზე, რომელთა გამოც მას ბრალი წაუყენეს და რომ ის მძიმე სისხლის სამართლის დანაშაულში იყო ბრალდებული და პროცესუალური უფლებების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

32. 2005 წლის 18 მაისს, მომჩივნის ადვოკატების მოთხოვნით, ჩატარდა დამოუკიდებელი სამედიცინო ექსპერტიზა. სამედიცინო დასკვნის მიხედვით, მომჩივანს აწუხებდა თავის, ზურგისა და მკერდის ტკივილები და პრობლემები ჰქონდა კოორდინაციის შენარჩუნების მხრივ, თავბრუსხვევის გამო. მკერდის ტკივილი მას ნორმალურ სუნთქვაში უშლიდა ხელს. მომჩივანს ჰქონდა ჩალურჯებები მარცხენა თვალზე, ჩალურჯება ზომით 2.5 სმ x 0.2-0.3 სმ მარჯვენა თვალის ქვეშ, ღია ჭრილობა და ჩალურჯებები შუბლის მარჯვენა ნაწილში (ერთ-ერთის ზომა იყო 2 სმ x1.5 სმ). მომჩივანს აგრეთვე ჰქონდა ჩალურჯებები ზომით 3.5

სმ x 2.5 სმ და 3 სმ x 0.3 სმ შუბლის მარცხენა ნაწილში და მე-5, მე-6 და მე-7 ნეკნების ირგვლივ, მარცხენა მხარეს, ზომებით: 6 სმ x 0.2-0.3 სმ, 5სმ x 0.3-0.4 სმ და 6 სმ x 0.2-0.3 სმ. მომჩივანს ჰქონდა სიარულის პრობლემები, ის აგრეთვე უჩიოდა ძლიერ ტკივილს მარცხენა დუნდულის მიდამოში. ექსპერტმა მიიჩნია, რომ დაზიანებები თარიღდებოდა 2005 წლის 12 მაისით და შესაძლოა, გამოწვეული ყოფილიყო მომჩივნის მიერ ნახსენები გარემოებებით. სამედიცინო დასკვნა შეიცავს მომჩივნის მრავალ ფოტოსა და ჩანაწერებს ზემოხსენებული დაზიანებების შესახებ.

33. 2005 წლის 6 ივნისს ადვოკატებმა მოითხოვეს, რომ სასამართლოს გაეცა ბრძანება ფსიქიატრიული დასკვნის მომზადების შესახებ, რომელიც დაადგენდა, შეეძლო თუ არა მომჩივანს ყოფილიყო პასუხისმგებელი იმდროინდელ ქმედებებზე.

34. 2005 წლის 22 ივნისს მომჩივანი შეამოწმა სამედიცინო ექსპერტიზის კომისიამ, რომელმაც დაადგინა, რომ ის დაავადებული იყო ქრონიკული C ჰეპატიტით (HCV), თავის წინა დაზიანებებით გამოწვეული ცერებრალური სინდრომითა და ნაღვლის ბუშტის ქრონიკული ანთებით.

35. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მომჩივანი 1981 წლიდან გადიოდა მკურნალობას ადგილობრივ ფსიქიატრიულ კლინიკაში. 1984-87 წლებში გაკეთებული ექსპერტთა დასკვნის თანახმად, ის პასუხს არ აგებდა თავის ქმედებებზე იმ პერიოდისათვის და ჰქონდა პიროვნების გაორება, რაც გამოწვეული იყო თავის დაზიანებითა და ფსიქოზით. მომჩივანი კლინიკაში რამდენჯერმე მოხვდა და გაიარა იძულებითი მკურნალობა დახურულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე 1997 წელსა და 2002 წლის 12 დეკემბერს. გადაწყვეტილება იძულებითი მკურნალობის შესახებ მიღებულ იქნა მოგვიანებით, რომელიც გაგრძელდა 2004 წლის 20 იანვრამდე. 2004 წლის 17 ნოემბრის ექსპერტთა დასკვნის საფუძველზე, მომჩივანი განიცდიდა პიროვნებასთან დაკავშირებულ ძლიერ დარღვევას, რაც გამოწვეული იყო თავის დაზიანებითა და ფსიქოპათიური ტენდენციებით.

36. 2005 წლის 3 აგვისტოს გამოძიების მიერ მოწვეულმა ექსპერტ-ფსიქიატრებმა შეაფასეს მომჩივნის ფსიქიკური მდგომარეობა. ექსპერტებმა დაადასტურეს 2004 წლის 17 ნოემბრის დიაგნოზი, დამატებით აღნიშნეს რა, რომ იმ დროისათვის მომჩივანი ნაწილობრივ აგებდა პასუხს საკუთარ ქმედებებზე.

37. 2005 წლის 28 სექტემბერს მომჩივანი, სამედიცინო დასკვნის საფუძველზე, მოათავსეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მას ჩაუტარდა თავის ტკივილის, უძილობისა და დეპრესიის მკურნალობა. მომჩივანმა აგრეთვე გაიარა სრული ჰემატოლოგიური სტადიები ჰეპატიტის მონიტორინგის მიზნით.

38. 2005 წლის 29 ივნისს, თბილისის პროკურატურამ, დააკმაყოფილა რა მომჩივნის საჩივარი, დაიწყო მისი დაკავებისას - 2005 წლის 12 მაისს - შსს-ს თანამშრომლების მიერ უფლებამოსილების გადამეტებისა და არაპროპორციული ძალის გამოყენების შესახებ ბრალდებების გამოძიება. მომჩივნის დაკითხვის შემდეგ, მისმა მეუღლემ და მოწმემ, რომელიც სტუმრად იმყოფებოდა მათ სახლში, 2005 წლის 12 მაისს პოლიციის მოსვლის დროს, ისევე როგორც დაკავებაში მონაწილე სამართალდამცავებმა, განიხილეს 2005 წლის 18 მაისის სამედიცინო შემოწმების

შედეგები და ჩაატარეს გარკვეული სხვა საგამოძიებო ღონისძიებები; 2005 წლის 29 დეკემბერს პროკურატურამ მიიღო დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან შს სამინისტროს თანამშრომლების ქმედებებში დანაშაულის ნიშნები ვერ იქნა აღმოჩენილი. აღსანიშნავია პროკურატურის დასკვნა, რომლის მიხედვით, დაკავების დროს მომჩივნისთვის მიყენებული მცირე დაზიანებები თავად მის მიერ, მიმალვის მიზნით, პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის შედეგი იყო და პოლიციელთა მხრიდან უფლებამოსილების გადამეტებას ადგილი არ ჰქონია; გამოყენებული იქნა ძალა, რომელიც გარემოებათა პროპორციული იყო, რაც გათვალისწინებულია „პოლიციის შესახებ“ კანონისა და სისხლის სამართლის კოდექსის დებულებებით.

39. როგორც 2005 წლის 29 დეკემბრის პროკურატურის დადგენილების ოპერატიულ ნაწილშია მითითებული, შემდგომი სააპელაციო სარჩელი, სსსკ-ის 242-ე მუხლის თანახმად, უნდა შეტანილიყო *თბილისის* სააპელაციო სასამართლოში მხარეებისთვის დადგენილების გადაცემიდან 15 დღის განმავლობაში. თუმცა საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანს არ გაუსაჩივრებია დადგენილება მისი მიღების შემდეგ.

40. 2006 წლის 17 იანვარს მომჩივანი მოხვდა ციხის საავადმყოფოში მეორე ფსიქიატრიული შემოწმების მიზნით, რომელიც უნდა გაგრძელებულიყო 15 დღის განმავლობაში, მაგრამ 2006 წლის 20 იანვარს ის გაწერეს ვადაზე ადრე და გაგზავნეს უკან, *თბილისის* №7 საპყრობილეში.

41. 2006 წლის 20 ივლისს *რუსთავის* საქალაქო სასამართლომ მომჩივანი დამნაშავედ ცნო დიდი ოდენობით ჰეროინის უკანონო შეძენასა და შენახვაში და მას 15 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. განაჩენის გამოტანისას სასამართლო დაეყრდნო 2005 წლის 3 აგვისტოს ექსპერტის დასკვნას, რომლის მიხედვითაც, მომჩივანი ნაწილობრივ პასუხს აგებდა თავის ქმედებებზე. სასამართლომ აგრეთვე დაადგინა, რომ მომჩივანმა სცადა იარაღის წართმევა პოლიციელისათვის, რომელიც მის დაპატიმრებას ცდილობდა და შემდეგ - სახლის უკანა კარიდან გაქცევა. შესაბამისად, სპეცრაზმის ჩარევა და ძალის გამოყენება აუცილებელი გახდა.

42. დაუდგენელ დღეს, მომჩივანმა გაასაჩივრა 2006 წლის 20 ივლისის განაჩენი. საქმის მასალებში არ არის მითითებული საქმის შემდგომი განვითარების შესახებ.

გ. მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობა და სასამართლო პროცესი

43. 2006 წლის 26 აპრილს სასამართლომ, მომჩივნის მოთხოვნის პასუხად, სთხოვა მთავრობას: (ა) გაერკვია, რატომ გაწერეს მომჩივანი კლინიკიდან 2006 წლის 20 იანვარს (§40); (ბ) წარმოედგინა დოკუმენტები სამედიცინო მკურნალობის შესახებ, რომელთა მიხედვით, მომჩივანს ციხეში ჩაუტარდა ფსიქიკური აშლილობისა და HCV-ის შესაბამისი მკურნალობა და (გ) მიეწოდებინა დეტალური ინფორმაცია მომჩივნის პატიმრობის პირობების შესახებ.

44. მთავრობამ, რომელსაც ზემოხსენებული ინფორმაციის წარმოდგენა 2006 წლის 8 ივნისამდე ეთხოვა, არ უპასუხა (ა) პუნქტს. მან წარმოადგინა მომჩივნის სამედიცინო დოკუმენტების 2006 წლის 17-20 იანვრის ჩანაწერები. ამ ჩანაწერებიდან გაირკვა, რომ კლინიკაში ყოფნის პერიოდში მომჩივანი იყო გაღიზიანებული და 2006 წლის 18 იანვარს ის ექიმებმა ინახულეს.

45. (ბ) პუნქტთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ 2006 წლის 7 ივნისს შესაბამისმა ორგანოებმა მოიყვანეს 3 სპეცილისტი სამოქალაქო კლინიკიდან და ციხის საავადმყოფოდან - თერაპევტი, ფსიქიატრი და კარდიოლოგი, რათა მათ შეესწავლათ მომჩივნის მდგომარეობა ციხეში. სპეციალისტებმა დაადგინეს, რომ მომჩივანს აწუხებდა ტკივილი მარჯვენა თირკმელში და ჰქონდა შარდვის პრობლემა. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ აუცილებელი იყო საშარდე გზების ულტრაბგერითი გამოკვლევა და საჭიროების შემთხვევაში - უროლოგის კონსულტაცია; მომჩივანს გამოუწერეს სედატიური საშუალებები. ექიმებმა დაასკვნეს, რომ იმ დროისთვის მას არ აწუხებდა ფსიქოზი და არ იყო საჭირო ფსიქიკური აშლილობის მკურნალობა ან მომჩივნის ჰოსპიტალიზაცია.

46. (გ) პუნქტთან დაკავშირებით მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივანი სასჯელს იხდიდა თბილისის №7 საპყრობილეში და მისი პატიმრობის პირობები აკმაყოფილებდა ეროვნული კანონმდებლობისა და კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს (ბუნებრივი განათება, ელექტროენერგია, სისუფთავე, ვენტილაცია, ადეკვატური საკვები, წყალი, ცალკე ტუალეტი საკნებში, ყოველდღიური ვარჯიშის შესაძლებლობა და ა.შ.). მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივნის მოთხოვნისამებრ, მას შეეძლო თავისუფალი კონსულტაცია გაევლო ციხის ექიმთან, ვინაიდან მომსახურება ხელმისაწვდომი იყო ნებისმიერ დროს, დღისითა და ღამით. მთავრობამ აღნიშნა, რომ მომჩივანს ადვოკატის მომსახურების მიღების შეუზღუდავი შესაძლებლობა ჰქონდა, მასთან შეხვედრა შეეძლო ციხის მცველების გარეშე. დაკავების შემდეგ მომჩივანი ადვოკატს 14-ჯერ შეხვდა.

47. სასამართლოსთვის მიწერილ 2006 წლის 16 ივნისის, 5 ივლისისა და 19 აგვისტოს წერილებში მომჩივნის ადვოკატები აღნიშნავდნენ, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფ პირს ჰქონდა ქვები საშარდე გზებში 2003 წლიდან და იტარებდა რეგულარულ მკურნალობას *რუსთავის* საავადმყოფოში. მომჩივნის ადვოკატმა აგრეთვე გაახმოვანა თბილისის ფსიქიატრიული კლინიკის ექიმის აზრი, რომელიც დაკვირვებას აწარმოებდა მომჩივანზე 2006 წლის 17-20 იანვარს, ციხის საავადმყოფოში. ფსიქიატრმა განმარტა, რომ მომჩივნის საქმის სირთულიდან გამომდინარე, 3 დღეში შეუძლებელი იყო მისთვის კონკრეტული დიაგნოზის დასმა.

48. 2006 წლის 24 ოქტომბერს პალატამ გადაწყვიტა, აღნიშნულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, გამოეყენებინა სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლი და განემარტა მთავრობისათვის, რომ სამედიცინო გამოკვლევა, სისხლის ანალიზის ჩათვლით, მომჩივანს უნდა ჩაუტარდეს სამედიცინო ექსპერტებისგან შემდგარი კომისიის მიერ. პალატამ მიუთითა, რომ მოთხოვნილი სამედიცინო დასკვნა უნდა შეიცავდეს მომჩივნის ფსიქიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებულ დიაგნოზს, ინფორმაციას HCV-ის სახეობასა და მისი განვითარების შესახებ, ასევე საშარდე გზებში ქვების

არსებობისა და სხვა დაავადებების თაობაზე, რომელთა დიაგნოზი დაისვა შემოწმების დროს. პალატამ ასევე გადაწყვიტა, რომ დიაგნოზებიდან გამომდინარე, მთავრობას უნდა მიეწოდებინა მკურნალობის გეგმა, რომლის ჩატარებასაც გეგმავდნენ შესაბამისი ორგანოები მომჩივნის თითოეულ პრობლემასთან მიმართებით.

49. 2006 წლის 9 ნოემბერს სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებასთან დაკავშირებით, *თბილისის* სააპელაციო სასამართლომ გასცა სამედიცინო შემოწმების ბრძანება, რომელიც უნდა ჩატარებულიყო ერთობლივი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში იქნებოდა მხარეთა მიერ დანიშნული 2 ფსიქიატრი, 2 თერაპევტი და 2 უროლოგი. კომისიას დაევალა, ეპასუხა სასამართლოს კითხვებზე და დიაგნოზიდან გამომდინარე, შეედგინა დეტალური მკურნალობის გეგმა.

50. შესაბამისად, 2006 წლის 13 ნოემბერს მომჩივანი გადაიყვანეს იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და ერთობლივმა კომისიამ დაიწყო მუშაობა, მოითხოვა რა სისხლის ანალიზი, გულმკერდის ულტრაბგერითი გამოკვლევა და ელექტროკარდიოგრამა. კომისიამ მოამზადა დასკვნა 2006 წლის 12 დეკემბერს („2006 წლის 12 დეკემბრის სამედიცინო დასკვნა“). მისი შედეგები აჩვენებს, რომ ფსიქიატრის აზრით, მომჩივანს აწუხებდა ფსიქოპატია, რომელიც გამოწვეული იყო თავის დაზიანებითა და ფსიქოპატიური ტენდენციებით. ექიმებმა მიიჩნიეს, რომ ამ მოვლენების დროს მომჩივანი ნაწილობრივ აგებდა პასუხს საკუთარ ქმედებებზე. მათი აზრით, სავალდებულო ფსიქიატრიული მკურნალობა იქნებოდა დამხმარე სასჯელი სისხლის სამართლის საქმეზე განაჩენის გამოტანის დროს. თერაპევტის დასკვნით, მომჩივანს ჰქონდა ქრონიკული ვირუსული C ჰეპატიტი მინიმალური აქტივობით და ადრე გადატანილი ჰქონდა ფილტვის ტუბერკულოზი. უროლოგმა განაცხადა, რომ მომჩივანს ჰქონდა ქვები მარჯვენა თირკმელში.

51. დაცვის მხარის მიერ დანიშნულმა ფსიქიატრმა დასკვნას დაამატა, რომ მომჩივანს აწუხებდა სტრესთან დაკავშირებული ქრონიკული აშლილობა, რომელიც, მისი აზრით, წარმოადგენდა ქრონიკულ-ემოციურ აშლილობას, გართულებულს ნარკოტიკების მოხმარებით, თუმცა ეს არ იწვევდა ბოდვას. შესაბამისად, მან აღნიშნა, რომ როდესაც აღწერდა დაკავების პროცესს, მომჩივანი საღ გონებაზე იყო. ფსიქიატრის აზრით, მომჩივანს არ სჭირდებოდა იძულებითი ან გადაუდებელი მკურნალობა. მისი რეკომენდაციით, მომჩივანს რეგულარულად უნდა გაევლო კონსულტაცია ციხის ფსიქიატრთან და მკურნალობა უნდა ჩატარებოდა სპეციფიკური მედიკამენტით, რომლის დოზას მუდმივად დაარეგულირებდა ფსიქიატრი.

52. 2007 წლის 24 აპრილს მთავრობამ სასამართლოს აცნობა, რომ 2007 წლის 10 აპრილს *თბილისის* სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც 2006 წლის 12 დეკემბრის სამედიცინო დასკვნა არასრულყოფილად მიიჩნია, ვინაიდან ის არ შეიცავდა მკურნალობის გეგმას და გასცა იმავე კომისიის მიერ მომჩივნის დამატებითი შემოწმების ბრძანება. შედეგად განხორციელდა მომჩივნის ჰოსპიტალიზაცია.

53. 2007 წლის 26 აპრილს მომჩივანი კვლავ მოათავსეს ციხის საავადმყოფოში, სადაც მან გაიარა სამედიცინო გამოკვლევები თავის ტვინის ტომოგრაფიისა და მუცლის ღრუს სკანირების ჩათვლით. მომჩივანს გამოუწერეს ანტიბიოტიკები და ანტისპაზმური საშუალებები საშარდე გზებში არსებული ინფექციის მკურნალობის მიზნით.

54. 2007 წლის 24 მაისს, 2008 წლის 11 მარტსა და 29 აპრილს მომჩივანს განმეორებითი გამოკვლევა ჩაუტარდა სპეციალისტების მიერ, ფსიქიატრის, დერმატოლოგის, ოფთალმოლოგის, უროლოგისა და ინფექციონისტის ჩათვლით. მომჩივანს ჩაუტარდა დიაგნოსტიკური ტესტები, რომლებიც მოიცავდა HCV თვისების შეფასებას პოლიმერაზის ჯაჭვური რეაქციით, სისხლის ბიოქიმიური ანალიზსა და ნახველის ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევას.

55. ზემოხსენებული კონსულტაციებისა და გამოკვლევების შედეგებმა გამოავლინა, რომ მომჩივანს აღარ აწუხებდა ფსიქიკური პრობლემები, საშარდე გზების ინფექციები და მისი HCV ინარჩუნებდა აქტივობის საშუალო დონეს. ექსპერტებმა განაცხადეს, რომ მომჩივნის მდგომარეობა მთლიანობაში იყო სტაბილური და ის არ საჭიროებდა ჰოსპიტალიზაციას.

56. ზემოხსენებული მონაცემების მიუხედავად, მომჩივნის ჰოსპიტალიზაცია განხორციელდა 20 ოქტომბრიდან რამდენიმე დღის შემდეგ და 2008 წლის 4 ნოემბერს, დამატებითი გამოკვლევებისთვის, ამგვარად, HCV-ის მკურნალობის სწორი გეგმის შემუშავება შესაძლებელი იყო. მომჩივანს ჩაუტარდა შინაგანი ორგანოების ექოსკოპია, სისხლის საერთო და ბიოქიმიური ანალიზები, გულმკერდის რენტგენოგრაფია და სხვა დიაგნოსტიკური ტესტები. მომჩივანს ასევე დაესვა ბაქტერიული ბრონქიტისა და ონიქომიკოზის დიაგნოზი (ფრჩხილის სოკოვანი ინფექცია), რის გამოც მას დაენიშნა შესაბამისი მკურნალობა. ის გამოჯანმრთელდა 2008 წლის 20 ნოემბერს.

57. მას შემდეგ, რაც მომჩივნის ორგანიზმში ანთებითი პროცესი ჩაქრა, 2008 წლის 24 ნოემბერს მან დაიწყო HCV-ის ანტივირუსული მკურნალობა ციხის საავადმყოფოში. მკურნალობასთან ერთად, რომელსაც, როგორც ცნობილია, გააჩნია სერიოზული გვერდითი ეფექტები, მომჩივანი დარჩა ციხის სამედიცინო პერსონალის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ და მუდმივად უტარდებოდა სისხლის ანალიზი მისი მდგომარეობის მონიტორინგისათვის.

58. 2008 წლის 31 დეკემბერს მომჩივანს, რომელიც იმ დროისთვის ჯერ კიდევ ციხის საავადმყოფოში იყო, დაუდგინდა *staphylococcus aureus* და შესაბამისი ანტიბიოტიკებით მკურნალობა დაიწყო მაშინვე, ინფექციონისტის მუდმივი ზედამხედველობის ქვეშ. 2009 წლის 17 იანვარს ციხის ხელმძღვანელობამ უზრუნველყო მომჩივნის გადაყვანა სეფსისის მკურნალობაზე სპეციალიზებულ სამოქალაქო ჰოსპიტალში. შესაბამისი მკურნალობის შემდეგ, რომლის შედეგადაც ბაქტერია ორგანიზმში აღარ იყო, მომჩივანი გაწერეს სამოქალაქო ჰოსპიტალიდან ციხის საავადმყოფოში, 2009 წლის 23 იანვარს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

59. იმ დროისათვის მოქმედი სსსკ-ის 242-ე და 399-ე მუხლების თანახმად, გამოძიების შეწყვეტის დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ადრესატის მიერ მისი მიღებიდან 15 დღის განმავლობაში.

60. სსსკ-ის შესაბამისი დებულებები წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით შეჯამებული სახით წარმოდგენილია საქმეზე *გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ* (no. 37048/04, 2009 წლის 13 იანვარი) გამოტანილი გადაწყვეტილების 35-36 და 29-41 პარაგრაფებში.

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

61. კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე მომჩივანმა წარადგინა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ (ა) 2005 წლის 12 მაისს, დაკავებისას, პოლიციის მხრიდან მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას და შესაბამისმა ორგანოებმა ვერ გამოიძიეს ეს ინციდენტი; (ბ) ის მოთავსებულ იქნა გადატვირთულ საკნებში თბილისის №5 და №7 საპყრობილეებში და (გ) ციხეში არ იყო სხვადასხვა დაავადებათა მკურნალობის შესაძლებლობა. ეს დებულება შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 3

„ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“.

ა. დასაშვებობა

1. მომჩივნის დაკავება 2005 წლის 12 მაისს

62. რაც შეეხება მომჩივნის პრეტენზიას 2005 წლის 12 მაისს დაკავებისას, მის მიმართ გადამეტებული ძალის გამოყენებასთან და ამ კუთხით გამოძიების არჩატარებასთან დაკავშირებით, მთავრობამ, რომელმაც წარმოადგინა საქმის მასალები თბილისის პროკურატურის 2005 წლის 29 დეკემბრის დადგენილების ასლთან ერთად (§§ 38 და 39), განაცხადა, რომ პრეტენზია იყო აშკარად დაუსაბუთებელი. აღსანიშნავია, რომ დადგენილების თანახმად, საპირისპიროდ, გამოძიება რეალურად დაიწყო და რამდენიმე საგამოძიებო ღონისძიების ჩატარების შემდეგ, გამოძიებამ დაასკვნა, რომ დაკავებისას მომჩივნის მიმართ გამოყენებული

ძალა იყო პროპორციული და აუცილებელი იმ გარემოებებში. გარდა ამისა, მთავრობამ შენიშნა, რომ მომჩივანმა არ გაასაჩივრა ეს დადგენილება, მთავრობის აზრით, მომჩივანმა არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები კონვენციის 35-ე (§1) მუხლის შესაბამისად.

63. მომჩივანმა არ გააკეთა კომენტარი მთავრობის პროტესტთან მიმართებით.

64. სასამართლო შენიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანს არ გაუსაჩივრებია თბილისის პროკურატურის 2005 წლის 29 დეკემბრის დადგენილება, რომლის თანახმად, მის მიმართ 2005 წლის 12 მაისს განხორციელებულ არასათანადო მოპყრობის გამოძიება შეწყდა. მომჩივანს სააპელაციო სარჩელი არ შეუტანია, თუმცა მიმართვის საბაზისო პროცედურული საშუალება მისთვის ხელმისაწვდომი იყო სსსკ-ის 242-ე და 399-ე მუხლების თანხმად (§§ 39 და 59). შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული მომჩივნის პრეტენზია არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 1 და 4) მუხლის თანახმად, მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არამოწურვის გამო.

2. სავარაუდო გადატვირთულობა ციხის საკანში

65. მომჩივნის პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომლის თანახმად ის მოათავსეს თბილისის №5 და №7 საპყრობილეების გადატვირთულ საკნებში, მთავრობამ განაცხადა, რომ ის აშკარად დაუსაბუთებულია. ამის გასამყარებლად მან წარმოადგინა ციხის ადმინისტრაციის 2008 წლის 14 თებერვლის განმარტებითი ბარათი, ისევე როგორც ციხის ჟურნალის ამონაწერები, რომლებიც ეხება მომჩივნის გადაყვანას სხვადასხვა საკნებში და საკნების პირობების აღწერას.

66. ზემოხსენებული დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ ვიდრე მომჩივანი იმყოფებოდა თბილისის №5 საპყრობილის 32 m^2 ფართობის №99 საკანში, რომელშიც არის 10 საწოლი, საკანში უკვე იყო 9 პატიმარი. რაც შეეხება იმავე ციხის სამედიცინო ნაწილში მდებარე 15 m^2 ფართობის მქონე №123 საკანს, რომელშიც მომჩივანი იმყოფებოდა 2004 წლის 20 იანვრიდან 2005 წლის 3 მარტამდე და შემდეგ - 2005 წლის 15 მაისიდან 2006 წლის 13 იანვრამდე, - მასში იდგა 4 საწოლი და მომჩივანთან ერთად, იმ დროისთვის იმყოფებოდა 3 პატიმარი.

67. რაც შეეხება თბილისის №7 საპყრობილეს, მომჩივანი იქ ძირთადად იმყოფებოდა საკანში 3 სხვა პატიმართან ერთად, №10 და №17 საკნები, რომლებიც იყო 10 m^2 ფართობის და მოიცავდა 4 საწოლს. მოკლე პერიოდის განმავლობაში, მომჩივანი მოთავსებულ იქნა 7 პატიმართან ერთად №18 საკანში, რომელიც იყო 19 m^2 ფართობის და ჰქონდა 8 საწოლი.

68. მთავრობის თანახმად, ციხის ჟურნალის ამონაწერებიდან და ადმინისტრაციის განმარტებითი ჩანაწერებიდან ირკვევა, რომ მომჩივანს არასდროს გამოუხატავს პრეტენზია ციხის ან სხვა ორგანოების წინაშე იმასთან დაკავშირებით,

რომ თბილისის №5 და №7 საპყრობილეების პირადი სივრცე შესაბამის საკნებში მისთვის არასაკმარისი იყო.

69. პასუხად მომჩივანმა, მთავრობის ზემოხსენებული არგუმენტების უარყოფის გარეშე, განაცხადა, რომ საკნებში, რომლებშიც ის იმყოფებოდა, არ იყო საკმარისი რაოდენობის საწოლები და ამასთანავე, მას ამის გასამყარებლად არ წარმოუდენია არავითარი მტკიცებულება.

70. საქართველოს საპატიმრო დაწესებულებებში იმ დროისთვის არსებულ პატიმრობის პირობებთან დაკავშირებულ სასამართლო პრაქტიკაზე დაყრდნობით, სასამართლო იმეორებს, რომ მსგავსი ზოგადი სტრუქტურული პრობლემა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, როგორიცაა გადატვირთულობა, მართალია, არ მოითხოვს დაცვის სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივ საშუალებათა სრულ ამოწურვას (იხ. Ramishvili and Kokhreidze v. Georgia (dec.), no. 1704/06, 26 June 2007; Aliev v. Georgia, no. 522/04, §62 and 63, 13 January 2009; and Goginashvili v. Georgia, no. 47729/08, §§ 54 and 57, 4 October 2011), მაგრამ, როგორც მინიმუმ, მოითხოვება, რომ სულ მცირე, ერთი პასუხისმგებელი სტრუქტურა - ციხის ადმინისტრაცია, სასამართლო, პროკურატურა და ა.შ. ინფორმირებული იყოს მომჩივნის სუბიექტური აზრის შესახებ, რომ პატიმრობის პირობები შეურაცხყოფს ან ლახავს მის ღირსებას (იხ. *რამიშვილი და კოხრეიძე*, ხსენებული ზემოთ). ეროვნულ დონეზე მსგავსი ელემენტარული ქცევის გარეშე იმ პირის მხრიდან, რომლის სურვილია გაასაჩივროს პატიმრობის პირობები *სტრასბურგში*, სასამართლოს აუცილებლად შეექმნება სირთულე ამ კუთხით მომჩივნის ბრალდებების სანდოობის შეფასების თვალსაზრისით.

71. თუმცა, საქმის მასალების მიხედვით, მომჩივანს შესაბამისი ორგანოებისათვის არასდროს უცნობებია მისი უკმაყოფილების შესახებ, რაც თბილისის №5 და №7 საპყრობილეების საკნების გადატვირთულობას უკავშირდებოდა. უფრო მეტიც, მისი ბრალდება ერთ-ერთ ციხეში საწოლების არასაკმარისი რაოდენობის შესახებ აშკარად გაბათილდა მთავრობის მიერ მოწოდებული დოკუმენტური მტკიცებულებებით. აღნიშნული საკითხი მომჩივანს შემდგომში აღარ გაუპროტესტებია. ასეთ სიტუაციაში, მომჩივნის მცდელობა, დაარწმუნოს სასამართლო, შესაბამისი მტკიცებულებების გარეშე მიიღოს მისი ბრალდებები გადატვირთულობასთან დაკავშირებით, სუსტია.

72. აქედან გამომდინარე, ეს პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე §§ 3 (ა) და 4 მუხლის თანახმად.

3. ციხეში სამედიცინო მკურნალობის სავარაუდო არარსებობა

73. მთავრობამ სრულად წარმოადგინა საქმის მასალები და ბევრი ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც სასამართლოსთვის უცნობი იყო საჩივრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებამდე ციხეში მომჩივნისათვის ჩატარებული მკურნალობის

შესახებ (§§ 37 და 43-58), მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მკურნალობა სრულად აკმაყოფილებდა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნებს და მისი პრეტენზია დაუსაბუთებლად მიიჩნია.

74. პასუხად, მომჩივანმა, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ციხეში მისთვის დანიშნული მკურნალობა იყო არაადეკვატური, რომ შედეგად, მისი მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუარესდა და მის სიცოცხლეს გარდაუვალი და რეალური საფრთხე შეექმნა.

75. დასაწყისისთვის, სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივნის ბრალდების საწინააღმდეგოდ, მის ჯანმრთელობის ქრონიკული პრობლემის გაუარესების შესახებ ბრალდება არ იკვეთება მისი საქმის მასალებიდან, რომლებიც მთავრობამ სრულად წარმოადგინა საჩივრის კომუნიკაციის შემდეგ. რასაკვირველია, მთავრობამ სადავო მკურნალობის ხარისხის შეფასებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციის მიწოდებით, მტკიცების ტვირთი შეამცირა და სათანადოდ დაეხმარა სასამართლოს ფაქტების დადგენაში, მაშინ როდესაც მომჩივანმა წარმოადგინა სრულიად უსაფუძვლო განცხადებები (იხ. Goginashvili, §72, და შეად. Malenko v. Ukraine, no. 18660/03, §§ 56-57, 19 February 2009). მნიშვნელოვანია, რომ ციხის ადმინისტრაციამ შეძლო მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ სრული სამედიცინო ანგარიშის მომზადება მისი მკურნალობის მონიტორინგით დაწყებული და მომჩივნის პატიმრობით დამთავრებული დღევანდელ დღემდე (იხ. Khudobin v. Russia, no. 59696/00, §83, ECHR 2006 XII (ამონარიდები.)) უფრო მეტიც, სასამართლო იმეორებს, რომ მომჩივნის ჯანმრთელობის გაუარესების ფაქტი, რომელიც საწყის სტადიაზე წარმოშობდა გარკვეულ ეჭვებს ციხეში მკურნალობის ადეკვატურობასთან დაკავშირებით, არ არის საკმარისი სახელმწიფოს ვალდებულების დარღვევის დასადგენად კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, თუ, მეორე მხრივ, დადგინდა, რომ ეროვნულმა ორგანოებმა დროულად მიმართეს ყველა სამედიცინო ზომას, რათა ხელი შეშალათ სადავო დაავადების განვითარებისათვის (იხ. Goginashvili, ხსენებული ზემოთ, §71). სხვა სიტყვებით, ეს განიხილება „სათანადო გულისხმიერების“ კონტექსტში, რაც გულისხმობს, რომ სასამართლომ უნდა შეაფასოს მომჩივნისათვის ციხეში გაწეული სამედიცინო მკურნალობის ადეკვატურობა.

76. სამედიცინო დოკუმენტების მხედველობაში მიღებით, სასამართლო შენიშნავს, რომ ციხის ადმინისტრაციამ აიღო პასუხისმგებლობა მომჩივნის ჯანმრთელობაზე, როცა ის ციხის საავადმყოფოში გადაიყვანა, სადაც მომჩივანს ჩაუტარდა ფსიქიატრიულ, ღვიძლის, უროლოგიურ და სხვა პრობლემებთან დაკავშირებული სრული სტაციონარული მკურნალობა, რომელიც შეიცავდა სხვადასხვა ლაბორატორიულ გამოკვლევებს, სკანირებებსა და განმეორებით კონსულტაციებს სპეციალისტებთან (იხ. §§ 37, 45, 53-54 და 56 ზემოთ და შეად. გოგინაშვილის საქმეს, §§ 73-76, და პირიქით Testa v. Croatia, no. 20877/04, §52, 12 July 2007, და Poghosyan v. Georgia, no. 9870/07, §57, 24 February 2009). სამედიცინო დოკუმენტები ადასტურებს, რომ მომჩივანს ციხის საავადმყოფოში დაენიშნა სხვადასხვა სახის მედიკამენტები და მკურნალობა, ისევე როგორც ამბულატორიული

მკურნალობა თბილისის №5 და №7 საპყრობილეებში, სახელმწიფოს ხარჯებით (იხ. Pitalev v. Russia, no. 34393/03, §57, 30 July 2009; Hummatov v. Azerbaijan, nos. 9852/03 and 13413/04, §117, 29 November 2007; and Holomiov v. Moldova, no. 30649/05, §119, 7 November 2006).

77. სასამართლო აღნიშნავს ციხის ადმინისტრაციის მზადყოფნას, უზრუნველეყო მომჩივნის სამედიცინო შემოწმება სამოქალაქო კლინიკებიდან მოწვეული სპეციალისტების მიერ, ასევე, მომჩივნის ერთხელ გადაყვანას სამკურნალოდ სამოქალაქო კლინიკაში (§58). ასევე აღსანიშნავია, რომ შესაბამის ორგანოებს არ უყოყმანიათ და მიმართეს სამოქალაქო სექტორის სამედიცინო დაწესებულების სპეციალისტის მომსახურებას (იხ. *a contrario*, Aleksanyan v. Russia, no. 46468/06, §§ 155-157, 22 December 2008, and Akhmetov v. Russia, no. 37463/04, §81, 1 April 2010). სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ ფაქტს, რომ ციხის ადმინისტრაციამ დაიწყო სამედიცინო მონიტორინგის ქვეშ მომჩივნის C ჰეპატიტის შესაბამისი მკურნალობა ანტივირუსული აგენტების გამოყენებით (§57). სასამართლო ასევე მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ მოპასუხე მთავრობამ სწორად განახორციელა დაკისრებული დროებითი ღონისძიება მომჩივნის სამედიცინო მდგომარეობასთან მიმართებით, სასამართლოს რეგლამენტის 39-ე მუხლის თანახმად, რაც კიდევ ერთი დადასტურებაა იმ ფაქტისა, რომ შესაბამისი შიდა სტრუქტურები მოქმედებდნენ კეთილსინდისიერად მომჩივნის ჯანმრთელობასთან მიმართებით (§§ 48-53).

78. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანს ჰქონდა არა მარტო სათანადო და რეგულარული კონსულტაციები შესაბამის ექიმებთან ციხეში, რომლებმაც მას დაუსვეს სწორი დიაგნოზი და მისცეს შესაბამისი დანიშნულება, არამედ ციხის ადმინისტრაციამ ასევე უზრუნველყო დანიშნული მკურნალობის სწორად ჩატარება ციხის საავადმყოფოში სახელმწიფოს ხარჯზე (იხ. შედარ. Hummatov, ხსენებული ზემოთ, §116, and Melnik v. Ukraine, no. 72286/01, §§ 104-106, 28 March 2006). გაირკვა, რომ მომჩივნის სამედიცინო ზედამხედველობა იყო რეგულარული და სისტემატიური, ასევე ყურადღება მიექცა თირკმლის უკმარისობას და შემუშავდა ნამდვილად სრული თერაპიული სტრატეგია (იხ. შედარ. Sarban v. Moldova, no. 3456/05, §79, 4 October 2005, and Popov v. Russia, no. 26853/04, §211, 13 July 2006).

79. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ციხის ადმინისტრაციამ გამოავლინა საკმარისი გულისხმიერება, უზრუნველყო რა მომჩივანი დროული და სისტემატიური სამედიცინო მომსახურებით. შესაბამისად, კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე წამოყენებული მომჩივნის პრეტენზია, რომელიც, საჩივრის კომუნიკაციის შემდეგ, აღმოჩნდა, რომ უსაფუძვლო ბრალდებებს ემყარებოდა, აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 3 „ა“ და 4) მუხლის საფუძველზე.

I. კონვენციის მე-5 (§3) მუხლის სავარაუდო დარღვევა

80. მომჩივანმა წარადგინა პრეტენზია, რომ მისი წინასწარი პატიმრობის ხანგრძლივობა ორივე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში, არ იყო სათანადოდ და ადეკვატურად დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებებით, რაც შეუსაბამოა კონვენციის მე-5 (§3) მუხლთან. აღნიშნული დებულება შემდეგნაირად იკითხება:

მუხლი 5§3

„ამ მუხლის 1-ლი (გ) პუნქტი გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად დაკავებული თუ დაპატიმრებული პირი დაუყოვნებლივ წარედგინებ მოსამართლეს ან სასამართლო ხელისუფლების განსახორციელებლად კანონით უფლებამოსილ სხვა მოხელეს და იგი აღჭურვილია უფლებით, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით.“

81. საჩივრის კომუნიკაციის შემდეგ, მომჩივანმა მიუთითა, რომ კონვენციის მე-5 (§3) მუხლის საფუძველზე წამოყენებული მისი პრეტენზია 1-ლ საქმესთან მიმართებით ეხება როგორც 2004 წლის 16 მაისისა და 2 ივნისის პირველ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომელთა საფუძველზეც მას შეეფარდა წინასწარი პატიმრობა პირველი 2 თვის განმავლობაში, ისე შემდგომ - 2004 წლის 13 აგვიტოს, 13 სექტემბრისა და 13 ნოემბრის გადაწყვეტილებებს, რომლებითაც მას პატიმრობის ვადა გაუხანგრძლივდა.

82. მეორე საქმესთან მიმართებით, მომჩივანმა თავისი პრეტენზია დაიყვანა სასამართლოს 2005 წლის 15 და 19 მაისის პირველ გადაწყვეტილებებამდე, რომელთა საფუძველზეც მას შეეფარდა 3-თვიანი წინასაწარი პატიმრობა.

83. მთავრობამ გააპროტესტა ეს პრეტენზიები და განაცხადა, რომ სადავო სასამართლო გადაწყვეტილებებში მოყვანილი მოტივები ადეკვატური იყო.

ა. დასაშვებობა

84. კონვენციის მე-5 (§3) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მომჩივნისთვის მეორე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას, სასამართლო, შენიშნავს რა, რომ მომჩივანი შემოიფარგლა იმ საწყისი სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძვლების გასაჩივრებით, რომლებითაც მას შეეფარდა 3-თვიანი პატიმრობა, მიიჩნევს რომ სადავო საწყისი პერიოდი არ შეიძლება არაგონივრულად ჩაითვალოს კონვენციის მე-5 (§3) მუხლის თვალსაზრისით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ემყარებოდა გონივრულ ეჭვს, რომ მომჩივანმა ჩაიდინა დანაშული, რომლისთვისაც მას ბრალი წარედგინა (იხ. §31 და Galuashvili v. Georgia,

no. 40008/04, §50, 17 July 2008; Saghinadze and Others v. Georgia, no. 18768/05, §137, 27 May 2010; Klamecki v. Poland, no. 25415/94, §§ 74 and 76, 28 March 2002; ასევე Malikowski v. Poland, no. 15154/03, §52, 16 October 2007). შესაბამისად, ეს პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 3 „ა“) და 4 მუხლის თანახმად.

85. კონვენციის მე-5 (§3)მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება მომჩივნისთვის პირველი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას, სასამართლო, შენიშნავს რა, რომ შიდა სასამართლომ პატიმრობის ვადა რამდენჯერმე გააგრძელა, მიიჩნევს, რომ ეს პრეტენზია არ არის აშკარად დაუსაბუთებელი კონვენციის მე-5 (§3) მუხლის განმარტებიდან გამომდინარე, ის არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა მიზეზების გამო; შესაბამისად, ის დასაშვებად უნდა იქნეს ცნობილი.

ბ. არსებითი მხარე

86. მომჩივნისთვის პირველი სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობასთან დაკავშირებით, რომელიც გაგრძელდა თითქმის ერთი წელი (§§ 6 და 20), სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 16 მაისისა და 2 ივნისის გადაწყვეტილებების გამოტანის ერთ-ერთი საფუძველი, რომელიც დადასტურებულია შიდა სასამართლოს მიერ, იყო მიმალვის რისკი, რაც მჭიდრო კავშირში იყო საქმის გარემოებებთან (§10), 2004 წლის 13 აგვისტოს, 13 სექტემბრის და 13 ნოემბრის გადაწყვეტილებები ფორმულირებული იყო უფრო აბსტრაქტული ტერმინებით. ბოლო გადაწყვეტილებებში ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეასრულეს თავიანთი ვალდებულება, დაედგინათ სპეციფიკური ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამართლებდა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელებას და განეხილათ ალტერნატიული არასაპატიმრო ზომა. საფუძველი, რომელსაც დაეყრდნო შიდა სასამართლო, იყო საჭიროება იმისა, რომ მომჩივანს ჩატარებოდა ფსიქიატრიული ექსპერტიზა (§14), რაც არადამაჯერებელი რჩება, ვინაიდან სასამართლომ არ განმარტა, რატომ ეწინააღმდეგებოდა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება ალტერნატიულ არასაპატიმრო ზომას. აქედან გამომდინარე, არასაკმარისად დასაბუთებული გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებიც უმეტესად ეყრდნობოდა სტერეოტიპულ ფორმულირებებს და შეიცავდა სსსკ-ის ტერმინებს (იხ. Patsuria, ხსენებული ზემოთ, §§ 12, 14 და 15; Javakhishvili v. Georgia (dec.), no. 42065/04, 2 October 2007; and Giorgi Nikolaishvili, ხსენებული ზემოთ, §79), მომჩივანი დარჩა წინასწარ პატიმრობაში თითქმის ერთი წელი, რაც არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად (იხ. Saghinadze, ხსენებული ზემოთ, §139; Giorgi Nikolaishvili, ხსენებული ზემოთ, §§ 73, 76; და Patsuria, ხსენებული ზემოთ, §74).

87. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§3) მუხლის დარღვევას.

III. კონვენციის მე-8 მუხლის სავარაუდო დარღვევა

88. მომჩივანმა შემდგომში წარადგინა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 12 მაისს მისი სახლის ჩხრეკა კანონიერი საფუძვლის გარეშე ჩატარდა, რაც შეუსაბამოა კონვენციის მე-8 მუხლთან.

89. წარმოადგინა რა საქმის მასალები თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 11 მაისის ბრძანების ასლთან ერთად, მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის პრეტენზია ბრძანების ფონზე აშკარად დაუსაბუთებელი იყო.

90. მომჩივანი არ დაეთანხმა, თუმცა კონვენციის მე-8 მუხლთან დაკავშირებით არსებული პრეცენდენტული სამართლის ზოგადი პრინციპების ციტირების გარდა, მას არ წარმოუდგენია რაიმე არგუმენტი საქმის ამ გარემოებასთან დაკავშირებით.

91. სასამართლო მიიჩნევს, რომ არა მხოლოდ მომჩივნის სახლის ჩხეკა იყო ნებადართული თბილისის საქალაქო სასამართლოს 2005 წლის 12 მაისის ბრძანებით, არამედ ამ ჩხრეკის შედეგები შემდგომ დაექვემდებარა განმეორებით სასამართლო განხილვას 2005 წლის 14 მაისსს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით. შესაბამისად, არ არსებობს ზემოხსნებული საგამოძიებო ღონისძიების კანონიერების გასაჩივრების საფუძველი, რომელიც, ამასთანავე, იყო მომჩივნის უფლებებში კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული აუცილებელი ჩარევა იმ ფორმით, რა ფორმითაც ეს განხორციელდა *„დანაშაულის პრევენციის“* ინტრესებიდან გამომდინარე (იხ. Mastepan v. Russia, no. 3708/03, §§ 39-46, 14 January 2010).

92. შესაბამისად, კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 3 „ა“ და 4) მუხლის შესაბამისად.

IV. კონვენციის სხვა სავარაუდო დარღვევები

93. კონვენციის მე-5 (§§ 1 „გ“, 2, 4 და 5) და მე-6 (§§1 და 3) მუხლებზე დაყრდნობით ცალკე და მე-13 მუხლთან ერთად, მომჩივანმა უბრალოდ წარადგინა პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ მისი წინასწარი პატიმრობა იყო უკანონო, რამაც კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სამართლიანობა და მე-2 სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შედეგი. შესაბამისი პრეცენდენტული სამართლის ზოგადი პრინციპების ციტირების გარდა, მომჩივანმა ვერ მიუთითა და ვერ დაასაბუთა თავისი პრეტენზიები საფუძვლიანი არგუმენტების მოყვანით.

94. თუმცა სასამართლო, მის ხელთ არსებულ ყველა მასალაზე დაყრდნობით და მომჩივნის წინააღმდეგ ორივე სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების გათვალისწინებით, ადგენს, რომ არ ვლინდება კონვენციითა და მისი ოქმებით დადგენილი უფლებებისა და თავისუფლებების

დარღვევა. საჩივრის ეს ნაწილი აშკარად დაუსაბუთებელია და არ უნდა დაკმაყოფილდეს კონვენციის 35-ე (§§ 3 „ა“ და 4) მუხლის თანახმად.

V. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

95. კონვენციის 41-ე მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“

ა. ზიანი

96. მომჩივანმა მოითხოვა 170 500 და 100.000 ლარი (84.567 და 49.600 ევრო) შესაბამისად, მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

97. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი თანხა დაუსაბუთებელი და გადაჭარბებულია.

98. სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზობრივ კავშირს კონვენციის მე-5 (§3) მუხლის დარღვევასა და გასაჩივრებულ მატერიალური ზარალს შორის. შესაბამისად, ის უარყოფს ამ მოთხოვნას. თუმცა აღნიშნული საქმის გარემოებების გათვალისწინებითა და სამართლიანობის პრინციპზე დაყრდნობით, ის მომჩივანს მიაკუთვნებს 600 ევროს მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

ბ. ხარჯები და დანახარჯები

99. მომჩივანმა აგრეთვე მოითხოვა 70.000 ლარი (34.719 ევრო) სამი ადვოკატის მიერ ეროვნულ და ევროპულ სასამართლოებში მისი წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით, რაც მოიცავს ადვოკატების მიერ გაწეულ ისეთ ადმინისტრაციულ ხარჯებს, როგორებიცაა ფოსტის, ტელეფონისა და ფაქსის ხარჯები. ამის გასამყარებლად მან წარმოადგინა იურიდიული მომსახურების შესახებ შეთანხმების ასლი, რომლის მიხედვით მომჩივანი ადვოკატებს დაპირდა შიდა სამართალწარმოების დროს მისი ინტერესების დაცვისთვის 30.000 ლარის (14.880 ევრო) ანაზღაურებას. თუმცა შესაბამისი ქვითრის არარსებობის პირობებში გაუგებარი ხდება, განხორციელდა თუ არა ანგარიშსწორება. უფრო მეტიც, სხვადასხვა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით, ფოსტის ქვითრის გარდა,

რომლის ოდენობამ შეადგინა 339,25 ლარი (168 ევრო), რაც დაჭირდა სხვადასხვა დოკუმენტების გაგზავნას სასამართლოში, სხვა ქვითრები ან ფინანსური დოკუმენტები არ ყოფილა წარმოდგენილი.

100. მთავრობამ განაცხადა, რომ მომჩივნის მიერ მოთხოვნილი თანხა დაუსაბუთებელი და გადაჭარბებულია. თუმცა მან აღიარა, რომ მომჩივანი გასწევდა გარკვეულ იურიდულ ხარჯებს და სთავაზობს სასამართლოს, მომჩივანს მიაკუთვნოს პრეცენდენტული სამართლის შესაბამისად დადგენილი გონივრული თანხა.

101. სასამართლო შენიშნავს, რომ მომჩივანმა არ წარმოადგინა ქვითარი, რომელიც დაადასტურებდა დანახარჯებისა და ადვოკატის გასამრჯელოს გადახდას მისი მხრიდან. თუმცა როგორც მთავრობამ აღიარა, მომჩივნისთვის გაწეული იურიდიული დახმარება არ იქნებოდა უფასო. სასამართლო კვლავ აცხადებს, რომ ამ თვალსაზრისით ის არ შემოიფარგლება შიდა ანაზღაურების მასშტაბითა და პრაქტიკით (იხ. Assanidze v. Georgia [GC], no. 71503/01, §206, ECHR 2004 II, and Patsuria, ხსენებული ზემოთ, §103). საქმის სირთულიდან გამომდინარე, სასამართლოს გონივრულად მიაჩნია მომჩივნისთვის 1.000 ევროს მიკუთვნება მის წინაშე წარმომადგენლობის ხარჯების ანაზღაურების სახით.

გ. საურავი

სასამართლოს მიაჩნია, საურავის ოდენობა უნდა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რომელსაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო ერთხმად

1. *აცხადებს* დასაშვებად კონვენციის მე-5 (§3) მუხლის საფუძველზე წამოყენებულ პრეტენზიას, რომელიც ეხება მომჩივნისთვის სისხლის სამართლის 1-ლი საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას და საჩივრის დანარჩენ ნაწილს - დაუშვებლად;

2. ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 (§3) მუხლის დარღვევას, რაც უკავშირდება მომჩივნისთვის სისხლის სამართლის პირველი საქმის ფარგლებში შეფარდებული წინასწარი პატიმრობის საფუძვლიანობას;

3. *ადგენს, რომ*

(ა) მოპასუხე სახელმწიფომ, კონვენციის 44-ე (§2) მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან 3 თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, მომჩივანს უნდა გადაუხადოს:

(i) 600 (ექვსასი) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ii) 1.000 (ათასი) ევრო ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, აგრეთვე ნებისმიერი გადასახადი, რომელიც ამ თანხასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული;

(ბ) ზემოხსენებული სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, გადასახდელ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი

4. უარყოფს მომჩივნის დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2012 წლის 27 ნოემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე (§§ 2 და 3) მუხლების შესაბამისად.

სანტიაგო კესადა სექციისგანმწესრიგებელი	ჯოზეპ კასადევალი თავმჯდომარე